საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

08/02/2024
N 09-02-16/74

74-09-02-16-2-202402081533

აჭარის ავბტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარეს

თორნიკე რიჟვაძეს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2013 წლიდან დღემდე გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოგზავნილი სააგენტოს მიერ საფრთხეების შეფასების ყოველწლიური ანგარიშების, ეკოლოგიური, გეოლოგიური და სხვა ბიულეტენების, სამოქმედო გეგმების შესახებ დოკუმენტების (დასკვნა/ბიულეტენი/რეკომენდაცია/წერილი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი) ასლები, ასევე თქვენს მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის/შესაბამისი რეაგირების გადაწყვეტილებების ასლები;
2. 2013 წლიდან დღემდე სამინისტროებსა და სხვა უწყებებზე მუნიციპალიტეტებზე, მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით გაგზავნილი სამოქმედო გეგმების და რეკომენდაციების, წერილებისა და თანდართული დოკუმენტების ასლები;
3. 2013 წლიდან დღემდე სამინისტროებზე, მუნიციპალიტეტებზე და სხვა უწყებებზე გაგზავნილი წერილებისა და რეკომენდაციების შესრულებაზე გამოთხოვილი იმნფორმაციის, მიღებული პასუხებისა და დოკუმენტების ასლები;
4. 2013 წლიდან დღემდე შავი ზღვის სანაპირო ზოლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის საფრთხეებთან, ასევე განაშენიანებასთან დაკავშირებით დასკვნების/კვლევების, რეკომენდაციების, სამოქმედო გეგმების ასლები, ასევე წერილების ასლები(დანართებთან ერთად) ვისაც გაეგზავნა საინფორმაციოდ/შესასრულებლად და სხვა;
5. 2013 წლიდან დღემდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფრთხეებთან და მათ პრევენციასთან დაკავშირებით მომზადებული, კვლევების, რეკომენდაციების ასლები, მუნიციპალიტეტების მიხედვით, ასევე

შესაბამის სამსახურებზე და მუნიციპალიტეტებზე გაგზავნილი დოკუმენტების ასლები, დანართებთან ერთად;

6. სოფელ წონიარისში, ბუთურაულსა და თხილვანაში 2024 წლის 6 თებერვალს განვითარებული სტიქიური მოვლენების ზონაში, დაშვებული იყო თუ არა მოსახლეობის ცხოვრება, აუცილებელი იყო თუ არა მანამდე მოსახლეობის გაყვანა და რა გაკეთდა ამ მიმართულებით, ასევე პრევენციისათვის? ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე გაცემული კომპენსაციების/დახმარებების ოდენობის შესახებ ინფორმაცია(ოჯახების რაოდენობა, გაცემული კომპენსაციის ოდენობა თითოეულ ოჯახზე, 2013 წლიდან დღემდე, კომპენსაციის/დახმარების გაცემის შემდეგ განხორციელდა თუ არა მონიტორინგი გაცემული კომპენსაციით შეძენილი იქნა თუ არა მათ მიერ საცხოვრებელი სახლები? ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები;
7. გქონდათ თუ არა კონსულტაციები/შეხვედრები/განხილვები აჭარის შესაბამის სამსახურებთან, მუნიციპალიტეტებთან კრიზისის მართვის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტების ასლები და კრიზისების მართვის სამოქმედო გეგმის ასლი;

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი
QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE